სახალხო გაზეთი

№ 927 სამშაბათი, 25 ივნისი 1913 წ. № 927

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მათი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი
№ 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველ მკათათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 4 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

დაბ. სურამში გარდაიცვალა

ნინო ბებიაშვილისა,

რასაც უზომო მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **პეტრე იოსების ძე ბებიაშვილი** შვილებითურთ. დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 25 ივნისს, სურამში, საგვარეულო სასაფლაოზე. 1369

ახალი კლუბი
(საზაფხულო თეატრი)

დღეს, 25 ივნისს, 1913 წლ. გაიმართება

მუსიკალურ-დრამატიული საღამო.

ნინო და ბარბარე ვლადიმერის ასულთა ალექსი-მესხიშვილებისა

კრიჟინისა, კოპელნიცკისა, ინაშვილისა, გაგიკ ორომანსისა, მხატვრის ვ. სიდამონ-ერისთავისა, ქართულ დრამის რეჟისორის ალ. წუწუნავასი, გრიშაშვილისა და სხვა., აგრეთვე ე. ი. ზელიონის დირიჟორობით „ახალ-კლუბის" 50 კაცისაგან შემდგარ სიმფონიურ ორკესტრის მონაწილეობით.

ადგილების ფასი: 40 კაპ. 2 მან. 50 კაპ. და გალერეია 20 კაპ. 40 კაპ. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 1358

პირველ-ხარისხოვანი
დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა



მიხეილის პროსპექტ, მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს,

მხოლოდ ძმ. ესიკოვსკების ცირკს შეუძლიან იმის ჩვენება, რაც სხვებს არას დროს არ შეეძლებათ!

დღეს, 25 ივნისს, 1913 წ.

გაიმართება

დიდი საზეიმო წარმოდგენა.

მიაშურეთ, რადგან დღეს აქ ყოველიფერი ახალია და ორიგინალური.

გამოსვლა ტფ. საზოგ. საყვარ. ცნობ. მოჯირითე-ბულგარ. ქალის **თამარასი,** საღ. 10-ნახევ. შეასრულებს ახალ თავბრუდამხვევ ოინებს. აგრეთვე დღეს მიიღებენ მონაწილეობას ცნობილი იტალ. ოჯახობა ჯამბაზებისა „ბურთის ხალხი". პოპულიარული მუსიკალ. ექსცენტერი. სხვა და სხვა გაუმჯობესებულ საკრავებზე ბ-ნ **ბროკარს.** ტფ. საზ. საყვარ. მასხარები **ძმ. ვინჩენცო.** სარტალ-მარტალ ცხენზე **ბ. ჟოზეფი.**

დასაწყ. საღ. 8 ს. დირექცია **ძმ. ესიკოვსკები.**

383 გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**

ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალური კანტორა

ამით აცხადებს, **რომ თანხმად უწმიდესი და უმართებულესი სინოდის** ბრძანებისა, რომელიც 8 მაისს 1913 წელს № 7283 გამოსცა, **ტფილისის მართლმადიდებლთა სასულიერო სემინარიის ძველი შენობა ეზოთი,** რომელიც მდებარეობს ქალ. ტფილისში, ლორის-მელიქოვისა და პუშკინის ქუჩების კუთხეში, **ქირავდება,** როგორც მთლად, ისე ნაწილ-ნაწილადაც. დაქირავება შეიძლება საცხოვრებლად, მაღაზიებისა, საწყობებისა, სარდაფებისა და სხვ. საქიროებისათვის. ვისაც შენობის ნაწილის ან მთლად დაქირავება უნდა, მან ყოველივე ცნობისათვის უნდა მიმართოს ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორას დილის 11 საათიდან 1 საათამდე (ეგზარხოსის მოედანი, № 2). 1368

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა
ძმ. ტარნოპოლებისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.
მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალერისა, საფაბრიკოთ 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი როსტოვის გამოფენაზე 1910 წ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.
ქხენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფია მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.
	მალალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12\frac{1}{2}$—1 ს.
	ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა $12\frac{1}{2}$—1.
	ექ.-ქალ. ენგელ. მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.
	მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და ს. მშ. ბ სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.
	თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.
	მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.
	სულაკოვი ა. ი. ყოველ დღე [illegible]—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. [illegible]—$1\frac{1}{2}$.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12\frac{1}{2}$—1
	ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ბედევანიშვილი. მ. ა.** შაბათობით $10\frac{1}{2}$—11.
	ჯავახიშვილი ნ. ნ. ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12
	ფონდოევი გ ს. ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$.
	ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე $1\frac{1}{2}$—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2\frac{1}{2}$.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606" და „914" წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფ. გუბ. თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების წევრთა

წლიური კრება

ნაცვლად 2 ივნისს 1913 წ. დანიშნულ კრებისა, შესდგება სათავად-აზნაურო გიმნაზიის სადგომში, **26 ივნისს, საღამოს 7 საათზე.**

განსახილველია: 1) საზოგადოების ანგარიში 1912 წლისა. 2) 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. 3) გამგე კომიტეტის მოხსენება საზოგადოების წესდების შესახებ. 4) მისივე მოხსენება საპენსიო წესდების შესახებ. 5) ქალთა სკოლის ინსტრუქცია. 6) პედაგოგიური და ადმინისტრატიული კითხვები. 7) ამორჩევა იმ წევრებისა, რომელნიც თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას ვადის გასვლამდე, და ქალთა სკოლის სამზრუნველოს წევრებისა. 1190

ექ. ვ. დ. ლამბაშიძის
სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი
პატარა-ცემი

გაიხსნება 15 თიბათვეს—31 მარიამობისთვემდე.
მისამართი ფოსტით: ტფილისი, ექ. ვ. დ. ლამბაშიძეს. 299

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. $9\frac{1}{2}$ ს. 0 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11\frac{1}{2}$ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11\frac{1}{2}$ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშა ათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11\frac{1}{2}$ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

აწამლობ „606"-ით 1035

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

დოქტორი მედიცინისა
გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **ხემიონოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემიონ. ქ., № 16. 1159

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5\frac{1}{2}$ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, ფოსტის კანტორის პირდაპირ. 102

ექიმი ბილისა ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახ მაქარაშვილისა.

ექიმი ივ. გომართელი

პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307

ექიმი შ. ა. მიქელაძე.

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

კბილის
ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

22 ივნისი

თავ. **ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს. საკანონმდებლო განზრახულებათა შორის შემოტანილია კანონ-პროექტი: პოლონეთში დაუნაწილებელი მიწების დაყოფვა 1911 29 მაისის და 1912 წლ. 16 ივნისის დებულების მიხედვით; ყაზახთა ოლქებში საგლეხო ბანკების შემოღება, სასულიერო აკადემიის დოცენტებისა და პროფესორებისათვის ჯამაგირის მომატება. კენჭ-საყრელია ხოლმის გუბერნიაში ახალი შტატების შემოღების საკითხი. შემოტანილია წინადადება რათა კენჭი უყარონ ამ საკითხის საჩქაროდ განხილვას, რადგანაც გუშინ მომხსენებელმა შემოიტანა ეს წინადადება, მაგრამ კენჭი არ უყარეს.

ნეკრასოვი: წინააღმდეგია და ამბობს, რომ ნაკაზის ძალით არ შეიძლება ასეთ წინადადებას კენჭი უყაროთ, რადგანაც საკითხი მეორედ იხილება, ამიტომ თუ ამ წინადადებას კენჭს უყრით, კ. დ. უარს ვეტყვით მონაწილეობის მიღებაზე.

ზამისლოვსკი: ნეკრასოვის მიერ ნაკაზის განმარტება ხელოვნურია. სათათბიროსათვის არის ნაკაზი და არა ნაკაზისათვის სათათბირო. ყოველ ცალკე შემთხვევაში სათათბიროს შეუძლიან შესცვალოს საქმის განხილვის რიგი. საჩქაროდ განხილვის საკითხისათვის კენჭი არ გვიყრია თავმჯდომარის (შეცდომის?) გამო, რაც გამოწვეული იყო მემარცხენეთა ობსტრუქციით. ოპოზიციას უნდა ისარგებლოს ამ, შემთხვევით თავის პოლიტიკურის მიზნისათვის.

ნეკრასოვი უპასუხებს ზამისლოვსკის: კანონ-პროექტს რომ ნორმალი მსვლელობა ჰქონოდა სესიის გათავებამდე იქნებოდა განხილული. არ შეიძლება დავარღვიოთ ნაკაზი, როდესაც გარემოება იწვევს სათათბიროს შესამჩნევ ნაწილის მხრით პროტესტს.

მღვდ. ბუდილოვიჩი. ხოლმის გუბერნიის მცხოვრებლები შეშფოთებულნი არიან, რადგანაც ხმა დადის, ხოლმი არ გამოუყვიათ პოლონეთიდანო. მოითხოვს კანონ-პროექტის განხილვის დასრულებას.

დიმშა უარჰყოფს იმ აზრს, თითქოს ხოლმის მცხოვრებელთ ჰსურთ მალე გამოეყონ პოლონეთს.

ჩხენკელი, კერენსკი და **ეფრემოვი** ემხრობიან ნეკრასოვის განცხადებას.

თავმჯდომარე. ამბობს, რომ საჩქაროდ განხილვის წინადადების შემოტანის მიზეზი მისი შეცდომაა, რომელსაც იგი აღიარებს. შემოტანილ წინადადებას დადგენილების მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ამ საქმისათვის. ამ მოსაზრებით თავმჯდომარე საჭიროდ სცნობს ეს საკითხი გაჰყოს ორად კენჭის ყრისათვის: პირველად კენჭს ვუყრი „ჰსურს თუ არა სათათბიროს ამ შემთხვევისათვის დაარღვიოს ნაკაზი" და თუ ეს საკითხი მიიღეთ მერე კენჭს ვუყრი საჩქაროდ განხილვის საკითხს. სათათბირომ 124 ხმის უმეტესობით 73 წინააღმდეგ შესაძლოდ ჰსცნო ნაკაზის დარღვევა. კენჭსაყრელია საჩქაროდ განხილვის საკითხი, ოპოზიცია დარბაზიდან გადის. რადგანაც წევრთა კანონიერი რიცხვი არ დარჩა დარბაზში, კრება შეწყდა: კრების განახლების შემდეგ საჩქაროდ განხილვა მიღებულია 134 ხმის უმეტესობით, 21 წინააღმდეგ, 6 თავი შეიკავა. ოპოზიცია დარბაზში შემოდის. განსახილველია ხოლმის გუბერნიაში სახაზინო პალატის დაარსების საკითხი. საჩქაროდ განხილვა მიღებულია 132 ხმის უმეტესობით 32 წინააღმდეგ.

გარუსევიჩი: კანონ-პროექტი შედეგია ხოლმის შესახებ ძირითად კანონ-პროექტისა, რომელიც პოლონელების წინააღმდეგ არის მიმართული და ამიტომ პოლონელებისათვის არ არის მისაღები. ორატორი ემყარება იუსტიციის მინისტრისაგან შემოტანილ პროექტს—ხოლმის გუბერნიაში საოლქო სასამართლოს დაარსების შესახებ და ამტკიცებს, რომ ახლა თითონ მთავრობასაც სჯერა, რომ ხოლმის გუბერნიაში მცხოვრებთა უმეტესობას კათოლიკეობა შეადგენს; გარუსევიჩის აზრით მეოთხე სათათბიროს გადაწყვეტილებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება, რადგანაც პოლონელები დაინახავენ, რომ რუსის საზოგადოების წარმომადგენელთა კიდევ ერთი კრება პოლონელებთან შეურიგებლობის ნიადაგზე სდგას.

კანონ-პროექტი მიღებულია 129 ხმის უმეტესობით 57 წინააღმდეგ.

უკამათოდ მიღებულია 8 კანონ-პროექტი, მათ შორის, ქვა-ნახშირის საზღვარ-გარეთიდან ფასგადაუხდელად შემოტანისა რკინის გზებისათვის და კაპიტან სედოვის მოსაძებნად თანხის გაღებისა. შემდეგი კრება ორშაბათისათვის გადაიდო.

სახელმწიფო საბჭო

აკიმოვი თავმჯდომარეობს. განსახილველია რკინის გზათა სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც საფინანსო კომისიამ იანგარიშა 593 მილიონად. კომისიის მომხსენებელი **პეტროვი** აღნიშნავს ხარჯთ-აღრიცხვის უმთავრესს მუხლებს და ამბობს, რომ რკინის გზებს მოაქვს დიდი შემოსავალი სახელმწიფოსათვის. ხოლო ახლახან რუსეთის რკინის გზები იმნაირსავე მოგებას იძლევა, როგორც ოთხმოც-და-ათიან წლებში. მიუხედავად დიდი ხარჯისა, რკინის გზები მაინც იძლევიან მოგებას.

მეორე მომხსენებელი **ეკესპარე** განმარტავს, იმ უთანხმოებას, რომელიც არის სათათბიროსა და საბჭოს კომისიის რედაქციის შორის. უთანხმოება სულ 9 მუხლს შეეხება. საბჭო დაეთანხმა კომისიას ამ 9 მუხლის შესახებ, დანარჩენი სათათბიროს რედაქციით მიიღო.

ფონ-დიტმარი 30 წევრის სახელით გამოსთქვამს სურვილს: 1) უნდა დახმარება აღმოუჩინოს მთავრობამ გზის კერძო მშენებლებს; 2) უნდა გამარტივდეს წესი ახალი მისადგომი გზების გაყვანისათვის ნებართვის აღებისა; 3) უნდა გაუმჯობესდეს სახალხო მატარებელთა მიმოსვლა; 4) მოსამსახურეთა შემადგენლობაც უნდა გაუმჯობესდეს. ყველა ეს სურვილი საბჭომ მიიღო. მიღებულია სათათბიროს რედაქციით ვაჭრობის სამინისტროს და სამთო დეპარტამენტის საერთო ხარჯთ-აღრიცხვა. უკანასკნელი უწყების შესახებ გამოთქმულია სურვილი: 1) უწყება უნდა შეეცადოს მარილის ფასის დაწყარებას; 2) მოკლეხნის განმავლობაში გამოქვეყნდეს დიდიხნის გეოლოგიური გამოკვლევანი; 4) გააფართოვოს ნავთის სამრეწველო მოედანი; ნავთიანი ადგილები სურახანაში (ბაქოს მაზრა) ჩამოერთვას გლეხებს და 5) უწყებამ შეიმუშავოს საკითხი, თუ როგორ დაეხმაროს სახაზინო სამთო-სამრეწველო ქარხნებს. ვაჭრობის სამინისტროს და სავაჭრო მეზღვაურობისათვის ჩვეულებრივი და საგანგებო ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულია მცირე შესწორებით, სათათბირომ მას დააკლო 208.000 მან., საბჭომ კი მხოლოდ 1,450 მ., შემდეგ საბჭომ მიიღო მიწადმოქმედების უწყების ხარჯთ-აღრიცხვა. კრება შესწყდა. კრების განახლების შემდეგ საბჭო

მიიღო ხარჯთ-აღრიცხვების მთელი რიგი სათათბიროს რედაქციით. გამოთქმულია სურვილი შემდეგ უწყების შესახებ: სახელმწიფო ქონებათა უწყებისა, რომ მთავრობამ, რაც შეიძლება მალე, დააკმაყოფილოს ხოლმე გლეხების შუამდგომლობა შესახებ მიწის მოწყობისა და რომ მთავრობამ აუკრძალოს გლეხის მამულის დაყოფა; სიმიწადმოქმედო უწყების შესახებ, რომ მთავრობამ გააშენოს გასაცივებელი საწყობები და ვაგონები ეკონომიის გასაუმჯობესებლად; ციმბირში წმიდა მატყლიანი ჯიშის ცხვრების მოსაშენებლად ღონისძიებანი იქნეს მიღებული; სამხედრო სამინისტროს შესახებ, რომ მიღებული იქნეს ღონისძიებანი ცხენთა მოშენების კულტურის გასავრცელებლად, დონის იქით მდებარე მხარე იჯარის ვადის გათავების შემდეგ უნდა დონის სამხედრო ოლქს დაუბრუნდეს და მიიღოს ღონისძიება იმ ვალების გასასტუმრებლად, რომელიც სამინისტროს ჰმართებს რკინის გზებისა; საზღვაო სამინისტროს შესახებ, რომ სამინისტროს ქარხნებმა შენაკვეთ გემების აშენების შემდეგ ისევ განაგრძონ გემთა აშენება და სალოცმეისტესტერო განყოფილება იქნეს ისე დაყენებული, როგორც შეეფერება ახლანდელ პირობებსა და ტეხნიკას.

გადმოსახლების უწყების შესახებ **ზინოვიევმა მე-2** განაცხადა, რომ გადასახლება ამურის ხეობაში თანდათან მცირდება. მოითხოვს ხარჯდაურიდებელ მუშაობას, რომ ეს მხარე დასახლებულ იქნეს.

კომისიის მომხსენებელი **სკირმუნტი** განმარტავს, რომ ზინოვიევისაგან აღნიშნული ნაკლულევანებანი წინად იყო, ახლა კი გადმოსახლების საქმე ამურის ხეობაში კარგად მიდის.

გადმოსახლების **უწყების უფროსი** ამტკიცებს, რომ გადმოსახლების საქმე კარგად არის დაყენებული. სათათბირომ დაამტკიცა გადმოსახლების უბნების პროექტი და თუ მანჯურიის პურს გადასახადი დაედება, მაშინ გადმოსახლების საქმე ძალიან კარგად წავა.

გურკო მომხრეა გადმოსახლებისა, მაგრამ უხერხულად მიაჩნია ამ მიზნის განხორციელებისათვის ღონისძიებების განურჩევლობა. საჭიროა ვიფიქროთ ცენტრის გუბერნიებზედაც. ორატორი ყურადღებას აპყრობს იმას, რომ შორიულ აღმოსავლეთის სკოლების რიცხვი მეტად მცირეა.

ზინოვიევი მე-2 უარყოფს მანჯურიის პურის გადასახადის შემოღებასა და ამბობს, რომ ეს გაალატაკებს გადმოსახლებულთ.

შემდეგი სხდომა დანიშნულია 25 ივნისს.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ბაქო. უგანათლებულესი თავადის **უჩა დადიანის** საქმის გარჩევა კვლავ გადადვა.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **საგანგებო ხელოვნებათა წაქეზება.** ბ-ნმა მელიქ-აზარიანცმა თავის შენობაში, რომელსაც ვერის დაღმართის დასაწყისში აგებს, ერთი დიდი დარბაზი მოაწყო გამოფენებისათვის და სრულს განკარგულებაში გადასცა საგანგებო ხელოვნებათა წამქეზებელ კავკასიის საზოგადოებას.

◆ **თ-დი დ. ო. ნიჟარაძე**, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, რომელიც ამ დღეებში ტფილისს ჩამოვიდა, 22 ივნისს მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელს გენერალს ნ. პ. შატილოვს წარუდგა.

◆ **კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტმა** ქუთაისის ციხესთან კალათების საქსოვი სკოლა მოაწყო. კომიტეტმა დაავალა თავის წევრს ა. ს. ფირალოვს, გამოიკვლიოს დაწვრილებით შინა-მრეწველობა ქუთაისის გუბერნიაში.

◆ **საჩვენებელი გამოფენა.** კავკასიის მეფუტკრეობის საზოგადოებამ დაადგინა, აგვისტოს შუა რიცხვებში ყარსში მეფუტკრეობის საჩვენებელი გამოფენა გამართოს. გამოფენის გამართვის ნება საზოგადოებამ უკვე ითხოვა მთავრობისაგან.

◆ **საბოტანიკო-საგეოგრაფიო გამოკვლევათა** მოსახდენად ეჩმიაძინის მაზრას გაემგზავრა აგრონომი ი. ნ. ვორონოვი.

◆ **ტფ. საბალოსნო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ** 22 და 23 ივნისს მუშტაიდის ბაღში დიდი სახალხო სეირნობა გაიმართა, რომელმაც ხალხი ბლომად მიიზიდა. იყო სხვა და სხვა სათამაშო და გასართობი. მოწყობილი იყო რამდენიმე კიოსკი, სადაც მანდილოსანნი ვაჭრობდნენ. აუშვეს შუშხუნები.

◆ **ცხენების გამოფენა.** ცხენთა მოშენების წამქეზებელ კავკასიის საზოგადოებას აზრად აქვს, 1914 წელს ტფილისში ცხენების გამოფენა გამართოს, თანახმად საზოგადოების მრავალ წევრის სურვილისა.

◆ **კავკასიის სამხედრო შტაბი** გუშინ ტფილისიდან კოჯორს გადავიდა.

◆ **საბოტანიკო ბაღში** ამ ჟამად ორ-სართულიან შენობის საძირკველი ჩაჰყარეს. შენობაში მოათავსებენ მუზეუმსა და სპეციალისტთა კაბინეტებს.

◆ მეფის მოადგილემ ნება დართო მ. გალოევს, გორსა და ცხინვალს შორის **ავტომობილი** ამუშაოს.

◆ **ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ახალ შენობის** აგება უკვე დასრულდა. 30 ივნისს შენობას აკურთხებენ.

◆ დღეს, 25 ივნისს, ტფილისში გაიხსნება კურსები ექიმთა, ბეითალთა და სტუდენტ მედიკთათვის. კურსები წელს მეორედ იმართება და გასტანს ერთს თვეს.

◆ **ფილოქსერასთან ბრძოლა.** ამ კვირია კრება ექნება მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტს, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს: როდის გაჰგზავნოს კახეთს საფილოქსერო დასები ფილოქსერასთან საბრძოლველად. დასთა გაგზავნა მომავალ კვირისთვის არის განზრახული.

◆ **მესაქონლეობის გამოფენაზე,** რომელიც 27 ივნისს გუმბრში უნდა გაიხსნას, უკვე გაემგზავრა მესაქონლეობის სპეციალისტი ა. ა. ქალანთარი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიას** ამ კვირია რამდენიმე კრება ექნება საქალაქო სკოლების 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად. განზრახულია, მომავალ სამოსწავლო წლიდან რამდენიმე ახალი სკოლა გახსნან.

◆ **კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** ცნობით, გორის მაზრის სოფლებში ამ ჟამად აღარ მძვინვარებს ეგრედ წოდებული ქათმის ხოლერა, რომელმაც ამ გაზაფხულზე მრავალს შინაურ ფრინველს გაავლო მუსრი.

სასწავლებლებში

◆ **ახალი სკოლა.** ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ დაადგინა, მომავალს სამოსწავლო წლიდან კუკიაში ქართული საქალაქო სკოლა დაარსოს. სკოლის შენობის მოძებნას კომისია უკვე შეუდგა.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა განკარგულება მოახდინა, რათა ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთს სასოფლო სკოლაში ზაფხულში კვლავ გაგრძელდეს მეცადინეობა, თანახმად სახალხო სკოლების დირექტორებისა და ინსპექტორების იმ კრების სურვილისა, რომელიც შარშან ზაფხულს ბორჯომში მოხდა.

სომეხთა ცხოვრება

◆ **უხვი შეწირულება.** ერთმა სომეხმა, რომელსაც ჯერ-ჯერობით თავის ვინაობის გამომჟღავნება არა სურს, სომეხთა საეპარქიო უფროსს ეპისკოპოსს მესროპს გადასცა 15,000 მან. ამ ფულით ზანგეზურის მაზრის სოფელ გორისში სამრეწველო სკოლა უნდა დაარსდეს. უცნობი თანახმაა სკოლას შემდეგშიაც გაუწიოს მფარველობა და შეწირულება 100,000 მანეთამდე აიყვანოს.

რკინის გზებზე

◆ მოკლე ხანში გზათა სამინისტრო ერთს ფრიად მნიშვნელოვან საკითხს განიხილავს, რომელიც ამიერ-კავკასიის რკინის გზებს ეხება. საქმე ის არის, რომ განზრახულია შეიმუშავონ ზომები, რათა ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე უფრო მეტი საქონელი ზიდონ, ვიდრე ამ ჟამად არის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სადგურ მიხაილოვიდან ყვირილამდე საქონლის ზიდვის მოწესრიგებასა და გადიდებას. ზოგიერთ ადგილში განზრახულია მეორე ლიანდაგის დაგება.

გ ო რ ი.

ჩაფრებმა მოჰკლეს ე. **მარღიშვილი**, რომელსაც პოლიცია და სასამართლო კარგა ხანია დაეძებდა.

ჭიათურა

◆ ჭიათურის საავადმყოფოს ქირურგი ბ-ნ გ. მუხაძე ორიოდე დღის შემდეგ გაემგზავრება ლონდონს ქირურგების კრებაზე დასასწრებლად.

◆ ჭიათურის საავადმყოფოს შეკეთებას და მეორე სართულის დადგმას უკვე შეუდგნენ, რის გამოც სტაციონალურ ავადმყოფთა მიღება რამდენიმე თვით ძლიერ შემცირდება, ხოლო საამბულატორო ავადმყოფების მიღება ჩვეულებრივად გაგრძელდება.

◆ ბუნებისმეტყველთა და ექიმთა ეკსკურსიასთან ერთად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს რუდოლფსაც მოელიან ჭიათურაში.

საშინელი დრამა გოლოვინის პროსპექტზე

დიდი საცოდაობა დატრიალდა გუშინ, 24 ივნისს, დილის თერთმეტის ნახევარ საათზე, გოლოვინის პროსპექტზე, „ტფილისის კრუჟოკ“ის შენობასთან, საარტისტო საზოგადოების თეატრის პირდაპირ: „კრუჟოკ“ის შენობა ჩამოინგრა და ქვეშ ხალხი მოიტანა.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მთელს ქალაქს მოედო და ყველას თავზარი დასცა. შეშინებული ხალხი ტრამვაის ვაგონებითა, ეტლებითა და ფეხით მაშინვე გაეშურა გოლოვინის პროსპექტისკენ, რათა გაეგო, ხომ არ მოჰყვა მისიანი ვინმე შენობას.

საქმის ვითარება შემდეგია:

შენობა ეკუთვნის ქალაქს და დაქირავებული აქვს „ტფილისის კრუჟოკ“ს, რომელიც ამ ჟამად საზაფხულო სადგომშია გადასული. ამას წინად ქალაქსა და „კრუჟოკ“ შორის შეთანხმება მოხდა შენობაზე მესამე სართულის დადგმის შესახებ. ქალაქის სატეხნიკო კომისიამ აღიარა, რომ შენობა იმდენად მკვიდრია, რომ შეიძლება ზედ მესამე სართულის დადგმა. ამ ერთის თვის წინად მართლაც შეუდგნენ შენობის შეკეთებასა და ზედ მესამე სართულის დადგმას: გააკეთეს ხარაჩოები და ზემოდან ისე გადაჰხურეს, რომ მაღაზიები, რომელნიც შენობის ქვედა სართულში არიან, არ მოსცდენოდნენ ვაჭრობას.

შენობის გადაკეთებაზე თვალყურის დაჭერა და ყოველგვარი ხელმძღვანელობა მინდობილი ჰქონდა ქალაქის ინჟინერს ჩისლიევს.

გუშინ მუშები შენობაზე ჩვეულებრივ განაგრძობდნენ მუშაობას შენობის მეორე სართულში. ქალაქში ამ დროს საშინელი სიცხე იდგა და ამიტომ მოსეირნე ხალხი გოლოვინის პროსპექტზე არ იყო. მიდი-მოდიოდნენ მხოლოდ ზოგიერთნი, რომელთაც აუცილებელი საქმე ჰქონდათ. გოლოვინის პროსპექტზე თავ-თავიანთ მაღაზიების წინ, ამართულ ხარაჩოების ქვეშ, იდგა ზოგი მოვაჭრე.

უცებ, დილის 11 ნახ. საათზე მეორე სართულის სქელი გამირი (კარნიზი) ელვის სისწრაფით რამდენიმე უშველებელ ლოდად მოსწყდა კედელს, შიანგრ-მოანგრია ხარაჩოები, დალეწა იგი და მათთან ერთად მთელის თავის სიმძიმით ტროტუარზე განირთხა და ქვეშ ხალხი მოიტანა.

ქვეშ მოყოლილი ხალხის გადასარჩენად დაუყოვნებლივ გამოიწვიეს ცეცხლის მქრობელი რაზმი და სანიტრები, რომელნიც ჩქარა მოვიდნენ. 15 წამის შემდეგ მოვიდნენ აგრეთვე მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალი ნ. პ. შატილოვი, გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი, ვიცე-გუბერნატორი პანოვი, გამომძიებელი, პრალმდებელი, ქალაქის გამგეობის წევრნი, და სხვანი.

პოლიცმეისტერმა გენერალმა ზასიპკინმა, რომელიც აგრეთვე ჩქარა მოვიდა, განკარგულება გასცა, შენობის ქვეშ მოყოლილი ხალხის გადარჩენას შესდგომოდნენ. გამოიწვია ჩქარი სამკურნალო დახმარების აღმომჩენი კარეტა და ეტლები. სანიტრები და ცეცხლის მქრობელი რაზმი მხნედ შეუდგნენ მუშაობასა და ხალხის გადარჩენას.

მკვდრები აღმოჩნდნენ: 1) არტემ გრიგოლის ძე დანიელოვი, თერძი, რომელსაც შენობის ქვედა სართულში ჰქონდა მაღაზია; ის კედლის ქვეშიდან ცოცხალი გამოიყვანეს და მიხეილის საავადმყოფოში ეტლით გაჰგზავნეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა, 2) ალექსანდრა შიკანიანცი, 13—14 წლის ქალი, რომლის სხეულიც მეტად საშინლად იყო დასახიჩრებული და 3) არტემ პეპოს ძე არუთიუნოვი, მეჭუდე.

მძიმედ დაშავებულნი აღმოჩნდნენ: 1) ელენე ალექსანდრეს ასული გედევანიშვილისა, 2) გიორგი სოლომონის ძე ჯავროვი და 3) ვიქტორ ნიკოლოზის ძე მატარაძე, ქართულ თეატრის მსახიობი.

მსუბუქად დაშავდნენ: 1) გრიგოლ პეტრეს ძე ამირაჯიბი, 2) ლევან მიხეილის ძე სამარგულიანი და 3) აიქანუშ ერვანდის ასული ავეტისოვისა.

ტფ. გუბერნიის თავ.-აზნაურთა საგანგებო კრება

23 ივნისს დაიწყო საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა. პირველი სხდომა მოხდა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში დილის 11 საათზე. კრება გახსნა საგუბერნიო წინამძღოლმა თავ. კ. **აფხაზმა,** რომლის წინადადებითაც კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გარდაცვალებულის ბრწყ. თავად. ასულის ოლღა გრუზინსკაიას ხსოვნას, რომელიც იყო ქალი ბატონიშვილის იოანესი. შემდეგ **თავმჯდომარე** სთხოვს კრებას, გამოსთქვან აზრი დღიურ წეს-რიგის შესახებ.

დეპ. **გ. მუსხელიშვილი.** საჭიროდ სცნობს ყველაზე ადრე სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვას. კრებამ დაადგინა პირველ რიგში განიხილონ წარსული წლის ანგარიშები, სარევიზიო კომისიის მოხსენება და ხარჯთ-აღრიცხვა; შემდეგ კი საკითხი კახეთის რკინის გზის მდგომარეობის შესახებ.

კრებას მოხსენდა ანგარიში თავად-აზნაურობის თანხებისა და დეპუტატთა საკრებულოს განმარტება. შემდეგ სარევიზიო კომისიის მოხსენება. ციფრების შესახებ ლაპარაკობს თავ. **ჯორჯაძე,** ხოლო სარევიზიო კომისიის მიერ გამოთქმულ სურვილის შესახებ კ—გ. ჟურული, რომელმაც მშვენიერ სიტყვაში ვრცლად დაასაბუთა ის ღონისძიება, რომელიც, სარევიზიო კომისიის აზრით, საჭიროა თავად-აზნაურობის ზოგიერთი საქმის წარმოების დროს.

სარევიზიო კომისიის მოხსენებიდანა სჩანს, რომ კომისიამ რამდენჯერმე მოახდინა კასების რევიზია და ჰფიქრობს, რომ ანგარიშის წარმოება არ ცალკე კასად საქმეში არევდარევას შეიტანს. ამიტომ საჭიროა ამ საქმის რეორგანიზაცია, რისთვისაც თავად-აზნაურობამ სპეციალისტები უნდა მოიწვიოს.

რაც შეეხება ბალანსსა და 1912 წლის ანგარიშებს, წიგნებში ჩაწერილი ყველა სწორია და სრულიად ეთანხმება გამასამართლებელ საბუთებს.

რაც შეეხება სარევიზიო კომისიის სურვილს იგი შემდეგს შეიცავს: 1) ქართული გიმნაზიის შენობის ვალებს, 2) მოსამსახურეთა ჯამაგირებს, 3) იმ დაუბრუნებელ ვალებს, რომელიც გაცემულია სასოფლო-სამეურნეო თანხიდან, 4) ქარვასლის შემოსავლის გადიდებას და სხვა. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **ზ. არჯევანიძე** ლაპარაკობს ნაკლის შესახებ განსაკუთრებით თეატრის აშენებისა და შენობების შეკეთებაში. და სურვილს გამოსთქვამს, რომ ეს ნაკლი შემდეგში მაინც არ განმეორდეს.

თავ. ვ. ვაჩნაძე ეთანხმება სარევიზიო კომისიის მიერ გამოთ-

სამღედიშვილი*)

დრამა-პოემა 4 მოქმედებად.

მოქმედება მეოთხე.

როგორც მეორე მოქმედებაში—ეზო. სახლი, მთები შორით და ტყე... წინაამდეგ მაშინდელის მოწყენილობისა და მწუხარებისა, ახლა ყველაფერს სიამოვნება-მოლხენის ბეჭედი აზის. მთელი ეზო განათებულია. სინათლე მთებიდან მომავალი, ერთიან ანათებს სახლს ეზოში მოგროვილია აუარებელი ხალხი, ჯგუფ ჯგუფად დაყოფილი. ერთი ნაწილი ხალხისა მთებთან არის თავმოყრილი, მეორე ტყესთან, მესამე სახლის ერთ გვერდით, მეოთხე მეორე გვერდით. ეზოს შუა ბავშვები თამაშობენ. სიხარული ეტყობა ყველას. ყველა სადღესასწაულოდ არის მორთული. ცეცხლანა, წყალმიწა და ჰაერმან თეთრებშია. ამათ უჭირავთ საპატიო ადგილი იმ ჯგუფში, რომელიც სახლის აივნის წინ არის და უსმენს ყმაწვილს ჩიტით. თითოეული ჯგუფიდან მოისმის სიმღერა, ცეკვა, თამაში და ოხუნჯობა. ახალგაზრდა ქალთა და ვაჟთა ჯგუფი ფერხულში არის ჩაბმული და ერთი მხრიდან მეორეზე გადადის.

დღესასწაულობენ გამარჯვებას და თითოეული თამამად გამოიყურება, ულოცავენ ერთი-მეორეს)..

ყმაწვილი (ჩიტით მხარზე).

...ვერ წარმოიდგენთ, როგორი იყო
ის ხმა, ძირიდან ამოვარდნილი!
მინდვრად ვიყავი,—ყოველი მესმოდა,
ჩხუბი იყო და ომი ნამდვილი!!

მსმენელნი. ჰო, ჰო, მოჰყევი! გვითხარი, გისმენთ!

ყმაწვ. ლომებრ შესძახა სამღედიშვილმა:
„არ დაიძრათ!“ და მსწრაფლ გააპო
მტერი ძლეული გულადმა გმირმა.
მაშინ იბლავლა მდევმა, დაეცა!..
გაეხმაურა მას მის სამთავრო;
ისეთი იყო ეს ამოოხვრა,
თითქო დაინგრა მთელი სამყარო...
მე შემეშინდა!.. მაგრამ ეს ჩიტი
დამაჯდა მხარზე: „ეს ნუ გაფიქრებს“,
მითხრა: „ჩხარე—მან გაიმარჯვა!
გამხნევდი აწი, ნურა გაშინებს“!
მესმა ხმა ჩიტის,—გავოცდი ამით...
ირგვლივ გაისმა უტყვთა თქმულება!
ყოველი კუთხიდან მესმოდა ქება,
და მეძახოდა ყოვლ მხრით ბუნება!!

(ყმაწვილი აღტაცებით ლაპარაკს შესწყვიტს, რადგანაც ახალგაზრდათა ჯგუფს გამოეყოფება რამდენიმე გოგო და სიმღერით მოადგება სახლის წინ მდგომ ჯგუფს),

გოგოები! სამღედიშვილი
ის გმირთა გმირი
მოდის და მოჰყავს ჩვენთან მზის-თვალა!
მის დიად საქმეს
ესოდენ ნაქებს
ვინ მოსთვლის აბა, ვინ დაითვალა?

(მათი ნაზი, შეწყობილი ხმა მიიქცევს ყველას ყურადღებას. ისინი გადახედავენ ყმაწვილს და სიმღერითვე წავლენ. მათ მოჰყვება დიდი ფერხული, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს დიდიცა და პატარაც ფერხულის ერთი თავში მაღალის ხმით იწყებს ერთი მომღერალი, დანარჩენნი კი ბანს ეტყვიან. მეორე თავში მეორე მომღერალი გამოართმევს პირველს და თავის რიგზე ის დაიწყებს, ხოლო ბანს მასაც მოსძახებენ დანარჩენნი. მოვლენ ნელი, ფერხულიური ცეკვით.. მომღერალთ, როგორც ლექსი ისე ხმა, იპყრობს ყველას ყურადღებას. გარს შემოეხვევიან. აქეზებენ: „ასე ბულბულო!“ „ოჰ, იადნო, ქირიმე შენი“ და სხვა).

I მომღერალი. (იწყებს)
გამეგონა, წინად იყო
მდევი ძლიერი, ახლა არა! (ბანს ეტყვიან).

II მომღერ. (გამოართმევს):
იმას ეპყრო ჩვენი ბედი,
და ტყვედ ჰყავდა მას მზისთვალა!
(ბანს ეტყვიან და შემდეგშიაც ამრიგად).

I მომლ. იგი ჰფლობდა ჩვენს ქვეყანას,
განაგებდა უკითხავად!

II მომლ. გვბატონობდა ის წყეული,
გვიმონებდა იგი ავად!

I მომლ. მაგრამ მოსპო მის ხსენება,
კაცმა სძლია იგი ერთმა

II მომლ. ვერ უშველა მას ბნელეთმა,
ვერც მიჰხედა მას მის ღმერთმა!

I მომლ. განძი ჩვენი დაგვიბრუნდა...
გვესტუმრება იგი მალე!

II მომღერ. გაჰქრი ახლა, კაცის ტანჯვავ!
სულის სევდავ დაიმალე!

(მთებისკენ მდგომი ჯგუფი შეინძრევა: იგი შეხედავს მთით მომავალს შიკრიკს, რომელიც ძალზე მოიჩქარის).

ჯგუფი. (მთასთან მდგომი ჯგუფი ჰკითხავს):
რა ამბავია? სთქვი მალე, გვითხარ!

შიკრიკი (დაღალულია) მახარობელი არ ვარ მე კარგის:
სამღედიშვილსა სევდა აწყვია,
სახეს უშავებს ბეჭედი დარდის!
(ყველა შიკრიკისკენ გაიქცევა. სიმღერა უმალ მისწყდება.)

ცეცხლანა. ვაიმე, შვილო, რა დაგემართა?

ჰაერმან. არ დაიღუპოთ!? (შიკრიკს) გვითხარ ამბავი!

წყალ-მიწა. არ შესცდე ოღონდ! დაფიქრდი, ძმაო!
შორს არის კიდევ? შეხვდა რამ ავი?

შიკრიკი. (ძირს ჩამოვა, მოჰყვება ამბავს) აღტაცებულნი ჩვენ მოვდიოდით
სუყველა ჰგრძნობდა ბედნიერსა დღეს,
ვაქებდით გმირსა, მისსა სასწაულს,
ვაქებდით ნეტარს, დღევანდელსა დღეს
წინ მოგვიძღოდა ნათელის ფენით
სამღედიშვილი და თვით მზისთვალა.
მთელი ქვეყანა ქებას გვეტყოდა,
მხოლოდ ერთმა ცამ ფერი იცვალა.
მზეც ჩამობნელდა, არ ანათებდა!..
არც ჩვენ გვინდოდა მისი სინათლე
ნათელ ვიყავით ისედაც ყველა—
თვალი გვიჭრიდა, გვქონდა სიმართლე.
მხოლოდ როდესაც „მლოცველთა ციხეს“
მივუახლოვდით—გვესმა გალობა:
წმინდა, მაღალ ხმით გასაოცარით
ქებას სასწაულს ვიღაც ამბობდა!
ეს გაუკვირდა სამღედისშვილსა:
„ვინ უნდა იყოს აქ მწყვდეულიო?
ვნახოთ, ვინ არის ის მომღერალი,
და ან ვინ ჰხარობს დამწყვდეულიო?“
ეს სთქვა და კარებს მივარდა გმირი,
მაგრამ მზისთვალამ არ მისცა ნება,
ციხეში შესვლა სამღედიშვილსა
და ტყვეს დანახვა არ დაანება?
უთხრა: „იქ არის მტერი ქვეყნისა,
მდევთა ერთგული და მსახურიო,
რომ მიანიჭო თავისუფლება
შენ დამირჩები დაჩაგრულიო!“
ერწმუნა ნათელს სამღედიშვილი...
გზა კვლავ განვაგრძეთ ჩვენ სიხარულით,
მაგრამ გალობა მისი გვესმოდა,
გვეცოდებოდა ის ყველას გულით.
ბოლოს მოვშორდით, გამოვიარეთ
უკან დავტოვეთ იმ ციხის არე...
ამ დროს მოგვესმა ჩვენ პატიმარის
ტირილი, მოთქმა-კვითინი მწარე!
ისე ტიროდა, თითქოს მთლად მიწის
მასში იყრიდა თავს მწუხარება;—
საშინელ იყო, გულის აღმძრელი
კვნესა უცნობის, ცრემლთ მდუღარება!
ვერ შეიკავა აწ თავი გმირმა:
უკან დაბრუნდა, შეაპო კარი,
მაგრამ ვერ ნახა მან იქ ვერავინ,
ხმაც დაიკარგა ის საოცარი!
ჩვენ წამს მივარდით... აქ კი ის მოხდა,
რაც ჭირად გვადევს ახლა ჩვენ ყველას
მზისთვალას მაშინ მოაკლდა სხივი...
სხივი მოშორდა ჩვენს განძს, ნათელას.

დედები. ვაი ჩვენს თავსა! ვაი და უი!!
ვით მოვაშოროთ ჩვენს შვილს კვლავ ჭირი!

ხალხის ერთი ჯგუფი. ეს რა მოხდარა? რა ვქნათ, ახლა ჩვენ?
ნეტავ, ვჰნახა მისი მზე-პირი?

მეორე ჯგუფი. არაფერია! კვლავ გაბრწყინდება,
დროებითია ეს შემთხვევა!

მესამე ჯგუფი. ნუ თუ არ იქნა კვლავაც საშველი,
და კვლავ ხიფათი ჩვენ შეგვემთხვევა!
(ყველა მწუხარებას მიეცემა. დედები გაიჭრებიან და დაღვრემილი გაიყურებიან იქით, საიდანაც მოელიან სამ—ლს. ხალხი მითქმა-მოთქმაშია, შორიდან გამოჩნდება სამღედიშვილი, მას მოჰყავს მზისთვალა, თვალმოუშორებლად შეჰყურებს მას).

პირ. ჯგუფი. შეხედეთ, მოდის!
(წავლენ შესახვედრად)

2 ჯგუფი. მოჰყავს მზისთვალა!

3 ჯგუფი. მაინც ანათებს, უკვდავებაა—
მისი ნათელი მზისას ჩრდილავს,
მისი შვენება ქვეყნის მცნებაა!!
(მიეგებებიან სამღედიშვილს. სამღედიშვილი კი თვალს არ აშორებს მზისთვალს).

ხალხი. გამარჯვება შენ!—გმირს გამარჯვება!

სამ-შვილი. (ხელით ანიშნებს არ მომიახლოვდეთო. ხალხი შეჩერდება).
ნუ ამბობთ მაგას! ნუ მიკლავთ გულსა! (განშორდება მზისთვალას, ხალხს მიუახლოვდება. მზისთვალა დარჩება მარტო, იგი ახლაც ნათელია, მაგრამ შედარებით ფერ-დაკარგული).

სამ-შვილი. აი შეხედეთ, თვით სათნოებას!
ჩვენს სულის ლტოლვას და სიყვარულსა.
გყოფნით ნათელი მის თვალთა სხივის?
სცნობთ უკვე უცნობს, ჰხედავთ ყოველსა?..
(დედები მიუახლოვდებიან და უცქერენ სამღედიშვილს). (აცრემლებული).
მიუახლოვდით, ჰკითხეთ, იცანით!
ჰგავს ის, თუ არა ნიჭის მყოფელსა?
(თვითონვე შეკრთება ასეთს კითხვაზე). ხალხი დაიძრევა, მაგრამ ვერ ჰბედავს მიახლოვებას).

მზისთვალა. (ხალხს) ახლა თქვენი ვარ, თქვენთან დავრჩები!

სამღედიშვ. (მივარდება, ხელებს დაუჭერს ათრთოლებული).
დიახ, მათი ხარ! მეც ამას ვხედავ!
(თვალებში უყურებს)
მე კი მაკლია შენი სინათლე,
ფერად შეცვლილსა გიყურებ, გხედავ!
რა უყავ, მითხარ, იმედო ჩემო,
ის სხივი შენი—ძალა, დიდება?
რა უყავ შუქი, რომ მინათებდა

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 929.

ქმულ სურვილს, მხოლოდ მოითხოვს მამულების გამგის, ბ. მამრაძის განმარტებას.

თავ. ე. მაჩაბელი. როგორი აზრისაა სარევიზიო კომისია იმ მიცემულ დახმარებისა და ვალების შესახებ, რომელიც სხვა და სხვა დაწესებულებებს მიეცა სამეურნეო თანხიდან?

გ. ჟურული. ეს ფულები წაღებულია და დაბრუნება კი საეჭვოა.

თავ. ე. მაჩაბელი. საჭიროა, რომ თავად-აზნაურობას ჰქონდეს უფლება ამ დაწესებულების თვალყურის დევნებისა.

თავმჯდომარე. შეუძლებელია იმ კულტურულ საზოგადოებათა თვალყურის დევნება, რომელთაც ჩვენ შემწეობას ვაძლევთ. ვისაც კი თავად-აზნაურობის ვალი აქვს იმათ თვალყურს ვადევნებთ.

გ. მუსხელიშვილი თავად-აზნაურობას ბევრი აქვს გაცემული და სარგებელი კი არ შემოდის. როდის ღა გადაიხდიან ამ ვალს? საჭიროა ენერგიული ზომების მიღება; საჭიროა ვალების რაოდენობა გამოირკვეს.

მ. მაჩაბელი. ვრცელ სიტყვაში ამტკიცებს, რომ საჭიროა თავად-აზნაურობას ჰქონდეს ხელუხლებელი თანხა. რადგან შეიძლება ბანკი მუდამ არ ემსახუროს. ამ დროს კი უმწეოდ დარჩება აუარებელი საქველმოქმედო დაწესებულება, მოსწავლე ახალგაზდობა, რომელთაც თავად-აზნაურობა ზრდის და რომელიც ქვეყნისათვის დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს, როგორც კულტურული ძალა. ასეთი თანხაა—სამეურნეო თანხა და არ შეიძლება მას რამე მოაკლდეს. თუ ამ თანხიდან გაცემულია ვალი, უეჭველად უნდა მოეთხოვოს მისი დაბრუნება და თუ თანხიდან გაცემულია ვალი, უეჭველად უნდა მოეთხოვოს მისი დაბრუნება და თუ ვალი უიმედოა, მაშინ ეს ვალი რამდენიმე წლის განმავლობაში საერთო სასარგებლო თანხიდან უნდა შეივსოს.

თავ. ლ. ვაჩნაძე. ლაპარაკობს საზოგადოება „კახეთის" შესახებ, რომელსაც თავად-აზნაურობისა აქვს ვალი 90,000 მანეთი და ამტკიცებს, რომ საზოგადოება ახლა ცოტა მოღონიერდა და, რასაკვირველია, ვალს გადიხდისო.

პ. მამრაძე. განმარტებას იძლევა თავად-აზნაურობის ქონების წარმოების დეფექტების გამო.

ანგარიშები ერთხმად იქმნა დამტკიცებული; აგრეთვე ერთხმად მიიღეს სარევიზიო კომისიის მიერ გამოთქმული სურვილი.

კრება ათის წუთით შესწყდა. განახლების შემდეგ თავმჯდომარემ განსახილველად აღიარა მოხსენება დამატებით ხელშეკრულებისა და კახეთის რკინის გზის აქციების შეძენის შესახებ.

თავ. ნ. საგინაშვილი კითხულობს 12 მაისის კრებაზე წარდგენილ დეპუტატთა კრებების მოხსენების სარეზოლიუციო ნაწილს.

თავ. დ. ჩოლოყაშვილი კითხულობს საფინანსო კომისიის მოხსენებას.

იურიდიულ კომისიის თავმჯდომარე **გ. რცხილაძე** კითხულობს კომისიის მოხსენებას.

საფინანსო კომისიის მოსაზრებანი ჩვენ უკვე გვქონდა დაბეჭდილი მე-926 №-ში. იურიდიულ კომისიის უმეტესობამ სცნო, რომ ხელშეკრულება თავად-აზნაურობისათვის სავალდებულო არ არის, რადგან თავ. გურამიშვილს რწმუნებულობა არა ჰქონდა, თავად-აზნაურობას ხელშეკრულება არ მიუღია—მხოლოდ თუ ხელშეკრულობაზე უარს იტყვის, ბანკს შეუძლია გადაახდევინოს ზარალი 550 ათასი მანეთი. მხოლოდ უკანასკნელი საკითხი გადასწყდა ერთხმად, დანარჩენები კი არა.

სიღნაღის წინამძღოლი თ. **ჭავჭავაძე** კითხულობს მოხსენებას დეპუტატთა საკრებულოსა და ორივე კომისიის შეერთებულ სხდომის შესახებ, რომელზედაც გადასწყდა ხელშეკრულება მიღებულ იქმნას და სახსარის გამოძებნის საშუალებად საუკეთესოდ იქნას ცნობილი დეპუტატთა საკრებულოს მიერ შემუშავებული გეგმა.

თავმჯდომარე სთხოვს კრებას არსებითად შეეხოს პირველ საკითხს: მიიღონ თუ არა ხელშეკრულება.

კრების ნაწილი თხოულობს, წაკითხულ იქმნას იურიდიულ კომისიის იმ პირთა აზრი, რომელნიც უმრავლესობის მიერ მიღებულ დებულებათა წინააღმდეგნი იყვნენ.

თავ. **ქ. აფხაზმა** კრებას მოახსენა კერძო წევრთა აზრი.

რ. ყაზბეგმა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო და ეს იმითი დაასაბუთა, რომ ქართველებს საქმის წაყვანა არას დროს არ შეუძლიათო.

სარევიზიო **კომისიის თავმჯდომარე.** დიდი მადლობელი ვარ ბ. ყაზბეგის სიმართლის თქმისათვის.

კრების მონაწილეთა ხმები: „თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ პირადად გადაუხადოთ მადლობა".

თავ. **ალ. ჯორჯაძე** ამბობს, რომ გადამეტებული ხარჯები ეხლა, ჯ-დია, და ბოლოს ვინ იცის, რამდენი იქნებაო. ამიტომ მისი აზრით შეუძლებელია აქციების შეძენა იმ დრომდე, სანამ რკინის გზის შენება არ დასრულდება.

თავ. **ი. ბარათაშვილმა** ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა იმის გამო, თუ რამ აიძულა იგი, რომ კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიეღო. დარწმუნებული არ არის, რომ საქმე სარგებლიანი იქნება და თავად-აზნაურობას ვალი არ დაედება, ორატორისათვის საკითხი ისევ გამოურკვეველი დარჩენილა. ამიტომ მისი აზრით საკითხის გადაწყვეტა ასე ადვილად არ შეიძლება; წინდაწინ ხელშეკრულებაში მეტი გარანტია იყო იმისი, რომ საქმის ბატონ-პატრონი თავად-აზნაურობა იქნება, ვიდრე ახლანდელში. ამიტომ საჭიროა ეს ხელშეკრულება უარჰყონ და ახალი შეჰკრან, რომელიც ამ მხარეს უზრუნველჰყოფს.

თავ. **ქ. აფხაზი.** ჩემს სახელზე მოვიდა თავ. თ. ანდრონიკაშვილის წერილი, რომელშიაც ის გამოსთქვამს აზრს ამ საქმის შესახებ. სურს კრებას, მოისმინოს წერილი, თუ არა?

თავ. **დ. ჩოლოყაშვილს** საკითხის ასე განსჯა შეუძლებლად მიაჩნია, რადგან საქმე ძლიერ სერიოზულია და ბ. ანდრონიკაშვილს შეეძლო კრებაზე დასწრება. გარდა ამისა საქმისათვის უკეთესი იქნებოდა, რომ დეპუტატთა საკრებულო გასცნობოდა მას წინასწარ და თუ შესაძლოდ დაინახავდა თავისი აზრიც წარმოედგინა.

ა. ყანჩელი. საკითხი სწორად არ არის დასმული. აქ ახალი წინადადება კი არ შემოაქვთ, არამედ აღძრულ საკითხის შესახებ წერილობითი აზრია შემოტანილი.

თავმჯდომარე. დეპუტატთა საკრებულოს კოლეგიამ გადასწყვიტა წერილი წაიკითხოს. (წერილს კითხულობენ).

თავ. **დ. ჩოლოყაშვილი:** „შევეხები თავ. ა. ჯორჯაძის ფრიად საინტერესო განცხადებას. თავ. ჯორჯაძე კახეთში მსახურებდა, მშვენივრად იცის არამც თუ კახეთის მდგომარეობა, არამედ ყოველივე ადგილი, ყოველი ხეც კი და მისმა განცხადებამ მეტად გამაკვირვა. ეს მისი მხრით ერთგვარი ხრიკი გახლდათ და ასეთი ხრიკები სერიოზულ საქმის დროს შეუწყნარებელია.

(თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს).

ბოდიშს ვიხდი. მხოლოდ უნდა აღვნიშნო, რომ თავ. ჯორჯაძე კახეთის რკინის გზის კანცელარიის საქმის მწარმოებელია ამავე დროს მას შესწევს გამბედაობა, ვაჟკაცობა და ამბობს: „რა იქნება, რომ ნავარაუდევ ხარჯზე მეტი და ხარჯოსო"? აი ამას ამბობს თავ. ჯორჯაძე; რაღას ამბობს მისი პრინციპალი თავ. გ. თუმანიშვილი, რომლის წერილიც თქვენ საქმეებშია ჩართული? რას ამბობს ამ პრინციპალის თანაშემწე ხნიერი, გამოცდილი ინჟინერი ბუშმანი? ისინი ამტკიცებენ, რომ გადამეტებული ხარჯის უდიდესი ციფრი იქნება 300 ათასი მანეთი, მაგრამ როგორც ისინი, ისე ჩვენ ვამტკიცებთ, რომ აშენება ვადაზე ექვსი თვით ადრე დასრულდება, და ამის გამო თანხის დიდი პროცენტი განთავისუფლდება. ასე ყოფილა ყოველი რკინის გზის აშენების დროს და რად უნდა მოგვივიდეს სხვა გვარად ჩვენ? თავ. ჯორჯაძის აზრი შეტანილი უნდა ყოფილიყო კომისიებში და იქ იხელმძღვანელებდნენ იმით. თავ. ჯორჯაძემ კი საჭიროდ სცნო ამ აზრის მხოლოდ აქ შემოტანა. ამ საქციელს შეუფერებლად ვსცნობ. ყველამ იცის, რომ მოძრაობა რკინის გზის ნაწილზე შემოდგომაზე გაიხსნება, ხიდები უკვე მზად არის. შეიძლება თავ. ჯორჯაძემ, როგორც კახეთის რკინის გზის საქმის მწარმოებელმა, ესეც არ იცოდეს, რომელმაც თითონვე შეაგროვა ცნობები კახეთის რკინის გზის შესახებ, და რომლის ცნობებით ჩვენ ყველანი ვსარგებლობდით. ახლა კი რაღაცა საფრთხით გვაშინებს. კმარა, ბატონებო, ამდენი შიში და ხრიკები".

გ. რცხილაძე. „მე მსურს პასუხი გავსცე თავ. ბარათაშვილს, რომელიმაც წარმოადგინა ფორმულა, რათა საკითხის გადაწყვეტა გადაიდოს და იმის გარანტია მოვითხოვოთ, რომ ბანკს არ შეეძლოს წესდების შეცვლა. ამ წინადადების მიღება შეუძლებელია. თუ ხელშეკრულება მიღებულია, მაშინ თავ. ბარათაშვილის წინადადება ნაგვიანებია, თუ მიღებული არ არის,—მაშინაც ნაგვიანებია. მხოლოდ ერთ შემთხვევაში აქვს ამ წინადადების აზრი: თუ ხელშეკრულება სისრულეში არ არის მოყვანილი, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი ეს წინადადება შეუფერებელია. თავ. ბარათაშვილის წინადადებაში სხვა აზრი იფარება, რომელსაც ნიღაბის ახდა ესაჭიროება. თუ ამ წინადადებას ნიღაბს ავხდით და ჩვენებურად გამოვსთქვამთ მისი წინადადება გამოიხატება იმით, რომ ვუარვყოთ დეპუტატთა საკრებულოს მიერ დასმული საკითხი და შევეცადოთ ახალი ხელშეკრულების დადებას.

რაც შეეხება საკითხს არსებითად, შეუძლებელია ასეთი პასუხის მიცემა. უნდა მოვიგონოთ ის აუწერელი შრომა და ენერგია, რომელიც დავჰქირდა 5,500 ცალი აქციის შეძენის უფლების მოპოებისათვის, შეუძლებელია ესოდენ ნაშრომის ფუჭად ჩატარება. შიში იმის შესახებ, რომ ბანკი წარმოებას გაადიდებს, არსებითად დაუსაბუთებელია და წყალ-წყლა. ამის ცდის მაგალითი უკვე იყო ბანკის მხრით და მოლაპარაკების შემდეგ ბანკმა უარჰყო ეს განზრახვა". შემდეგ ორატორი ეხება საქმის ადმინისტრატიულ ხასიათს და ვრცელი დასაბუთებით ამტკიცებს, რომ ბარათაშვილის წინადადება სრულიად შეუფერებელია.

თავ. **ა. ჯორჯაძე.** ჩემი აზრი მე გუბერნიის მარშალს გადავეცი კომისიების საყურადღებოდ. მე არავის არ ვაშინებ. ვერც თუმანიშვილი და ვერც ბუშმანი ვერ დამარწმუნებენ, რომ გადამეტებული ხარჯები არ იქნება, რადგან იგივე ბუშმანი გუშინ მელაპარაკებოდა, რომ გადამეტებული ხარჯი დიდი იქნებაო.

თავ. **დ. ჩოლოყაშვილი.** ვის დავუჯეროთ? ბუშმანი რომ წინააღმდეგს ამბობდა ამის მოწმე იყო პ. გოთუა და სხვანი.

ბ. ნაცვლიშვილი. გადამეტებულ ხარჯს მუხრანსკიც ამბობდა.

თავ. **დ. ჩოლოყაშვილი.** იმიტომ რომ რკინის გზამ მაღაროზე არ გაიარა.

თავ. **ი. აფხაზი.** ყველა ნალაპარაკევიდან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ხელშეკრულება კეთილსინდისიერი არ არის და უარყოფილი უნდა იქნას. ხელშეკრულებას იურიდიულის მხრით არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. საფინანსო გეგმის სასარგებლოდ ნალაპარაკევი არ არის დასაბუთებული. წინადადებას აძლევს კრებას გააუქმოს ის ხელშეკრულება, რომელშიაც ორმა-სამმა პირმა ჩაითრია თავად-აზნაურობა.

მ. მაჩაბელი. „დიდი ხნის მუშაობისა და ენერგიის დახარჯვის შემდეგ არის დასმული ეს საკითხი. ჯერ არა ყოფილა ასეთი სერიოზული მომენტი, როგორიც ახლაა. ამ მომენტის სწორედ გაგებისაგან არის დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს, ჩვენი მომავალ თაობის ბედ-იღბალი. ამ საქმეში კინკლაობასა და პირადი ანგარიშების გასწორების შეტანა შეუფერებელი და დასაგმობია. საკითხს პირდაპირ უნდა მივუდგეთ. საჭირო არ არის აგრეთვე რეკლამები და თავის ქება. აქამდე რუსეთის არც ერთ თავად-აზნაურობას არ მიჰყავდა ისე კარგად საქმე, როგორც ტფილისის გუბერნიისას, ამიტომ, ცხადია, ასეთ ძნელ საკითხს უნდა ფრთხილად მოვეპყრათ, ადვილს ხომ უკომისიოდაც—ჩვენ თითონ მოვისაზრებდით მაგრამ ასეთი ცხარე კამათის კილოც უნდა უკუვაგდოთ. თავ. ა. ჯორჯაძე წინედ, როგორც სჩანს, სხვა აზრისა იყო, ეხლა კი როგორც კონტრაგენტის მოსამსახურე არ უნდა გამოსულიყო აქ, ამ კრებაზე, ეს არ არის შესაფერებელი". შემდეგ ორატორი დიდხანს ლაპარაკობს იურიდიულსა და ფინანსიური მხარეების შესახებ და ამტკიცებს, რომ დ. გურამიშვილი ყოველმხრივ მართალია. გარდა ამისა ორატორი დიდხანს ლაპარაკობს პატიოსან სიტყვასა და ჯენტლმენობაზე, რომელიც კომერციაში ყველაზე მეტად არის საჭიროო. ორატორი სიტყვას ასე აბოლოვებს: „ამ საქმის საბოლოოდ გადაწყვეტას მოითხოვს ნამუსი, მომავალი და ჩვენი ღირსება, საქმისადმი ფორმალისტურად მოპყრობა ამიტომ შეუძლებელია. მე მგონია, რომ ქართველი თავად აზნაურობა, როგორც ქართული საეროვნო ინტერესების მუდმივი დარაჯი, ახლაც შეუწყობს ხელს ხალხის მატერიალურ კულტურულ კეთილდღეობის აღყვავებას".

თავ. **დ. გურამიშვილი.** „მე ვაწყენინებ თავ. ბარათაშვილს და პასუხს არ გავსცემ მის „იურიდიულ" საკითხებს. თუმცა მან მისაყვედურა, რომ მე დიდხანს ვიცი ლაპარაკი, მაგრამ საქმე ის კი არ არის, რამდენ დროს ანდომებს კაცი ლაპარაკს, არამედ ის თუ რას ლაპარაკობს იგი. თავ. ბარათაშვილმა დიდი დრო მოანდომა თავის სიტყვას და, თუ რა ხარისხის იყო მისი ნალაპარაკევი, ეს ბრწყინვალედ დაგვანახვა გ. რცხილაძემ, რომლის სიტყვების შემდეგ მეტად მიმაჩნია თავ. ი. ბარათაშვილისათვის პასუხის გაცემა". შემდეგ ორატორი კარგად ასაბუთებს იმ აზრს, რომ შემცდარია იურიდიული კომისია; ხოლო გურამიშვილს კი უფლება ჰქონდა ხელშეკრულება დაედო, რომლითაც ექვს გარეშე, დიდი სარგებლობა ექნება არამც თუ თავად-აზნაურობას, არამედ, რაც უფრო დიდმნიშვნელოვანია, საქართველოს და ქართველ ხალხს.

დეპ. ვ. გაბაშვილი. უპასუხებს თავ. ი. აფხაზს: რ. ყაზბეგი მუდამ ესწრებოდა საფინანსო კომისიების კრებას და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მისი წინადადებისათვის და ცნობებისათვის კრებას ანგარიში არ გაეწიოს. სოცარი იყო გუშინდელი ამბავი, როცა რ. ყაზბეგმა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო, მით უმეტეს, რომ ის სრულიად ეთანხმებოდა საფინანსო ციფრებს.

თავ. მ. ჭავჭავაძის წინადადებით, კრება გადაიდო 24 ივნისათვის.

იმ მთის წვერიდან—შენი ღირსება?
ნუ თუ არა ხარ სრული გვირგვინი,
ჩემი ძიების ბოლოც და თავი?
მითხარ, რისთვის სდუმ, რად შეიცვალე?
(ხალხს) ამათი ბედის შენ ხარ ვარსკვლავი.
(მზისთვალას თან და თან აკლდება სხივოსნობა).
ნუ, ნუ, მზისთვალავ, ნუ გაგვიქრები,
დაბადებიდან ღმერთად გსახავდით,
შენში გვაქვს ძალა, შენით ცოცხალ ვართ!—
მკვდარნი ვიყავით, სანამ გნახავდით!
მზისთვალა. მე ისევ ის ვარ, რაც ტყვეობისას...
ისევ ის სხივი გარს მახვევია!
მხოლოდ შენ ვერ გცნობ, რად ჰფიქრობ სხვა გვარ
მწარე ფიქრები რად გახვევია?
აი მიყურე?!
(ჩამოვა ძირს, ხალხში შედის, გაერევა, მათში დადის. სამღედლიშვილი მას უყურებს. მზისთვალას ბოლოს დაეკარგება სხივოსნობა, ჩვეულებრივს მზგავსებას ღებულობს. სამღედლიშვილი ამას რომ დაინახავს, გულსაკლავად აქვითინდება).
წყალ-მიწა. ეს არის იგი—ჩვენი მზისთვალა?
სამღედლიშვილი. (ჯერ თავით ანიშნებს არაო, მაგრამ თავს ვერ შეიკავებს, ჩაეკვრება დედას გულში და გულამძგვრებული იტყვის).
ეს არის, დედა, ჩვენი ვარსკვლავი!
მაგრამ... ის... არა!.. ის კვლავ შორს არის!!
(შეხედავს მზისთვალას)
არ არის ესა თვალით უნახავი!
(კვლავ ჩაეკვრება გულში სასოწარკვეთილი. ჰაერმან და ცეცხლანიც მიუახლოვდებიან).

სამღედ. (წაართმევს თავს დედებს უცბათ).
ნურავინ იტყვის, რომ მოვუპოვე
ბედნიერება მე კაცთ ქვეყანას!
ბაბუას აღთქმა მე ავასრულე,
და მივაგენი მე მის მზისთვალას! (თითქო თავისთვის).
ვინაც მოსთქვამდი „მლოცველთ ციხეში"!
ოოჰ, ვინ იყავ, ან რად ჰგალობდი?
ვინ დაგამწყვდია, მითხარ, ციხეში?
(მზისთვალა დაჯდება მოშორებით და სტირის).
ან რატომ განქრი, როცა მოგეც გზა
გაგიღე კარი თავისუფლების?
რატომ სთქვი ქება, მოთქმით და ვაით
მძებნელი იყავ, რომელ უფლების?
(მიმართავს მზისთვალას).
მზისთვალავ, მიხსენ, მომეცი ცნობა,
კმაყოფილი მყავ—მომეცი შვება!!
ერთი ჯგუფი. კმარა წუხილი, გამარჯვებულთა
კვლავ მოვილხინოთ, მოგვეცი ნება.
(ამის გაგონება ზარს დასცემს სამღედლიშვილს და შევარდება ხალხში).
სამ-შვილი. განიმეორეთ, რაც სთქვით! მკითხეთ კვლავ!
ვისი პირიდან იყო ნათქვამი? (სიჩუმე)
(დედებს) ვაი, დედებო! ვაი შვილს თქვენსას!!
გამიასკდა ჰირი-ვარამი!
დედები. კმარა, ნუ მოსთქვამ!
გეყოფა ჯავრი!
სამ-შვილი. (განეშორება ხალხს. შორით უყურებს ერთხანს).
კვლავ ბრძოლა უნდა! უსაზღვრელია
ბრუნვა ქვეყნისა და კაცთ ბუნებაც
მას აყოლილი ულეველია! (ბეჯითი ხმით)
ეკლიან გზაზე ვივლი განწირვით,
ასეთი ხვედრი აქვს კაცს საბრალოს!
ვის შეუძლია ძის ცრემლთ შეშრობა?
ვინ გასჭვრეტს მისსა ბრძოლისა ბოლოს?
(მედგრად) ჰაუ, მივდივარ, ვერ დავისვენებ,
სანამ სრულს არ გყოფ მე გამარჯვებას...
ხალხი. (ერთხმად) ოჰ! დავისვენოთ, ამას დავჯერდეთ!.
ხალხის მეორე ნაწილი. ვინ მოისურვებს აწ აქ დარჩენას?
(სამღედლიშვილი მიდის)
დედები. (ერხანს წავლენ სამღედლიშვილისკენ, მაგრამ შეჩერდებიან).
ჩვენც... თან მოგყვებით!
მზისთვალა. მე მოგემატეთ!
(მიდის სამღედლიშვილისკენ. ამის მნახველი ხალხი შეინძრევა)
ერთი ჯგუფი. ჩვენც, განწირულნი, თქვენთან ვართ ყველა!
მეორე ჯგუფი. ჩვენი ძალ-ღონეც თან დაიმატეთ!
მესამენი. ვაი, გაუვალს ჩვენს გზას, უსაზღვროს!
(სამღედლიშვილი მიდის წინ, მთებისკენ. დედები ჩაფიქრებულნი დგანან და მიიწევიან შვილისკენ. ხალხში მოძრაობაა გარკვეული, მაგრამ მაინც სამღედლიშვილისკენ მიიწევიან. დრო-გამოშვებით კვნესა მოისმის ხალხისა. სახეზე ყველას ტანჯვის ბეჭედი აზის. აქა-იქ გაისმის: „საით").
სამ-შვილი. (ხელ-აპყრობილი, წინ) იქ, აი, იქ, შორს საფეხურია! (პატარა პაუზა)
შემდეგ მეორე! (ოდნავი პაუზა)
შემდეგ მესამე! (მიდის) მეოთხე...
მასზე დიდებულია!
(კვნესა-ამოხვრით უპასუხებს ხალხი. სამღედლიშვილი წინ მიილტვის. მოისმის).
მისი სიტყვები: „იქ... შორს"...
მის სიტყვებს დაამწყვდევს ნელა დაშვებული ფარდა.

ლეო ქიაჩელი.

წერილი სტამბოლიდან

(დასასრული*)

პატრმა ბენედიქტე ჩილინგაროვმა სტამბოლში გამმაგებით საფლავი უთხარა ყოვლად პატიოსანი მამულიშვილის **მღვდლის ხარისჭირაშვილის** დაწყებულ მონასტერს, მაგრამ რა დააკლო? როგორც ყველა საგვარო საქმე უკვდავია, ეგრედვე უკვდავი იქნება პატივცემულ **ხარისჭირაშვილის** დაწყებული საქმეც. მართალია, მთელი ექვსი წლის უკუღმართი მართველობით შეაფერხა, დროებითად შეაჩერა წინსვლა დიდებულ გვაროვნულ დაწესებულებისა, მაგრამ ამის სასყიდელიც მიიღო. სტამბოლის ქართველ—კათოლიკე ბერთა მონასტრის კრებამ, როგორც ხმა დადის, გამოურიცხავს თავის ძმობისაგან პ. ბენედიქტე ჩილინგაროვი, როგორც უღირსი და მავნე პირი. მონასტრისა კრებულმა ამით თავისი მოვალეობა სინიდისიერად შეასრულა. მართალია, აქაურ ქართველ კათოლიკე ბერთა მონასტრისთვის დიდი სირცხვილი და დამცირება იქნებოდა, რომ პ. ბენედიქტე ჩილინგაროვი კიდევ მათ წრეში დარჩენილიყო, იმის შემდეგ, რაც მან იკადრა და გააკეთა თავის უფროსობის დროს.

მაგრამ მისი „მოღვაწეობის" ნუსხა უსრული იქნება თუ არ დავასახელეთ ქართულ ტიპიკონის საქმე და არ მოვიგონეთ პ. ბენედიქტეს „საქმენი საგმირონი". ქართველი კათოლიკობა, პ. ბენედიქტე ჩილინგაროვის წყალობით დღესაც მოკლებულია ქართულ ტიპიკონს. პ. ბენედიქტე ნუ დააბრალებს რომის სასულიერო მთავრობის ქართული ტიპიკონის საკითხის უკუღმართად წაყვანას, რადგან ეს მთავრობა ამ საკითხში სავსებით უმანკოა. იქნება პ. ბენედიქტემ სტამბოლის ლათინის წესის ეპისკოპოსი **ბ. სარდი** (ეს სხვა მეხი აქაურ ქართველ კათოლიკეებისა!) დაასახელოს, როგორც ქართული ტიპიკონის დაუძინებელი მტერი? ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ მაინც კიდევ ეპისკოპოზ სარდზე უფრო დამნაშავე ბენედიქტე ჩილინგაროვია. ნათქვამია: „ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო". და ბ. სარდიც მხოლოდ და მხოლოდ ქვევრი იყო. ვინ გააშმაგა სტამბოლის ეპისკოპოსი სარდი? ვინ უთხრა მას, რომ ქართული ტიპიკონი არ არსებობსო? დამტკიცებული არ არის **რომის პაპისაგანო**? ვინ შეაწერინა რომში ქართულ ტიპიკონის წინააღმდეგ? ვინ უთხრა **ბ. სარდის**, რომ სტამბოლში ქართულ ტიპიკონის მსურველთა უმეტესობა სხიზმატიკები (ესე იგი, მართლმადიდებელი) არიანო? ექვს გარეშე, იმ პატიოსანმა პირმა, რომელმაც სტამბოლში ქართველთა კრებაზე, ქართველების შესახებ სთქვა: „**მაშინ დაუდგება თვალი ჭიანჭველას, როცა ფრთები შეესხმებაო!**" განა ამ სიტყვების განმარტება სჭირია!

წინდაწინვე ვიცით, რომ პ. ბენედიქტე თავის გასამართლებლად მიმართავს ჩვეულებრივ საშუალებას: ჯერ ეცდება რომ ქვეყანას თავი უმანკო კარგად მოაჩვენოს, რისთვისაც არას დაზოგავს, როგორც საუკეთესო მოწაფე და აღმასრულებელი ვოლტერის შემდეგი სიტყვებისა: „იცრუე, იცრუე, მეგობარო რაიმე უეჭველად დარჩება ცილისწამებისაგან". დიახ, მუდამ რამე დაგრჩება ყოველ შენი მოქმედებისგან, დიდებულო პ. ბენედიქტე!

ეს იქნება პირველი ხერხი, ხოლო თუ ეს არ გაუვიდა მაშინ მიმართავს ხშირად ნაცადს, მეორე ხერხს და იტყვის: „**შევცდით**" რასაკვირველია, თავის ბრალის ცნობა და აღიარება კარგია, მაგრამ როცა ამის შემდეგ კვლავ უბრუნდება თავის პირველ საქციელს და ხელს არ იღებს ქვემძრომობაზე, მაშინ არად ღირს ცოდვის აღიარება.

რას ჰფიქრობს სასულიერო მთავრობა, როცა ნებას აძლევს ამისთანა გათახსირებულ ადამიანს, შევიდეს იმ მიწა-წყალში, რომლის არსებობის და ინტერესების უარის მყოფელია?! როგორ აძლევენ ნებას, რომ გამწესდეს პ. ბენედიქტე ჩილინგაროვი სულიერ მამად იმ ერისა, რომლის ინტერესების დამჩაგვრელი და გამქელავია?! ნუ თუ ეს დაცინვა არ იქნება იმ ქრისტიანეთა, რომელთ მწყემსადაც მას აწესებენ?!

ქართველ ერის არსებობისა და მათი ინტერესების უარისმყოფელთათვის საქართველოში ადგილი არ უნდა იყოს.

მეხი.

---

* იხ. „სახალხო გაზ." № 925.

მუშათა ცხოვრება

✦ 16 ივნისს მოხდა საერთო ყრილობა ბრინჯაოს მრეწველობის მუშებისა, რომელთაც ლაპარაკი ჰქონდათ მათ შორის მოძრაობის დაწყების შესახებ. ყრილობამ დაადგინა: დახმარება გაეწიოს გაფიცულებს და 9 საათის სამუშაო დღის განხორციელებას შეუდგეს.

✦ გაფიცულ ქარხნის „ლანგენზიპენ და კომპ." გაფიცულ მუშათა საერთო ყრილობაზე დადგენილების თანახმად, 650 კაცმა სამსახურს თავი დაანება. სულ გაფიცულია 800 კაცი.

✦ ფოთში აქ სამი კვირის წინად დაწყებული გაფიცვა შავი ქვის დამტვირთველებისა გრძელდება. ოკეანის ხუთი გემი ცარიელი გაბრუნდა. შეუსრულებელ შენაკვეთს ინდოეთში ჰგზავნიან.

მოწერილი ამბები

სოფელი ღამისყანა (გორის მაზრა). როგორც იქნა ღამისყანელებმაც გადასდგეს ერთი ნაბიჯი წინ და რაც დრო გადის მით უფრო თანდათანობით უფიქრდებიან თუ რა არის მათთვის სასარგებლო და საზარალო. ჯერ კიდევ შარშან დიდმარხვაშივე, მღვდლის გიორგი კარბელაშვილისა და თავ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის მოურავის ივანე მაყაშვილის თაოსნობით დაარსდა სასოფლო გამსესხებელი ბანკი (ამ საქმეს ახლაც ესენი განაგებენ) რომელმაც დიდი სარგებლობა მოუტანა ღამისყანის მცხოვრებთ, და ცოტად თუ ბევრად თავი დააღწევინა იმ უზომო სარგებელს, რომელსაც ახდევინებენ სოფელ ახალგორის ვაჭრები. ვერ ნახავთ ვერც ერთ ღამისყანელ გლეხს, რომ ყველამდე ვალში არ იყოს ჩაფლული და მის წლიურს მოსავალს სხვები არ ეპატრონებოდნენ. მაგრამ ახლა ამ ბანკის წყალობით კი შესაძლებელია, რომ ნელ-ნელა თავი დაახწიონ თავის მოსავალს თითონვე დაეპატრონონ. გარდა ბანკისა ამ სოფელს მოემატა კიდევ ახალი წყაროს წყალი რომელიც გამოიყვანა მილებით ვერს ნახევრის სიშორიდან თავისავე ხარჯით (მხოლოდ გათხრა იყო გლეხებისა) აქაურმა მემამულემ კნ. მარიამ ვახტანგის ასულმა და მისმა მეუღლემ თავ. ალექსანდრე ივანეს ძემ ჯამბაკურ-ორბელიანმა და მით თავიდან ააცდინა იმ წუმპეს, რომელსაც აქამდე სვამდნენ. ამ თვის პირველ რიცხვებში ღამისყანას ეწვია თავადი ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც არ ყოფილა ამ 8 წლის განმავლობაში. ხალხი სიხარულით მიეგება მის მოსვლას და გზაზე, ახალ წყაროს მახლობლად, პურ-მარილით შეხვდა. ალექსანდრე ორბელიანი მიესალმა გლეხებს და თანაც მადლობა გადაუხადა. მესამე დღეს თ. ა. ორბელიანის პატივსაცემლად მთელ-

მა სოფელმა საერთოდ გამართა სადილი იქაურ სასწავლებლის შენობაში რომელზედაც მიწვეული იყო ადგილობრივი ინტელიგენციაც. „ჩემი სახლის კარი თქვენთვის მუდამ ღიაა", სთქვა ერთს სადღეგრძელოში ა. ორბელიანმა, რამაც დამსწრეთაგან რამდენიმე გრძნობიერი სიტყვა გამოიწვია.

როგორც გავიგეთ, თავადი ალექსანდრე ბევრს რასმე ჰპირდება ლამისყანელებს. ჯერ-ჯერობით კი, წყაროს გამოყვანის გარდა, გლეხებს აჩუქა 600 დესეტინამდე ტყე, რომელშიაც დღემდე გლეხები წლიურად ფულს იხდიდნენ. დაჰპირდა შუამდგომლობას, რომ სახელმწიფო ხარჯით დაანიშვნინოს სასოფლოდ ფერშალი, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, როგორც ლამისყანელებისათვის, ისე გარშემო სოფლებისთვის. იმასთანავე აზრად აქვს სოფლის ელექტრონით განათება და კიდევ ბევრი სხვა კეთილი.

მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე მღ. გ. კარბელაშვილი და ა. ორბელიანის მოურავი, ივანე მაყაშვილი, რომელნიც ბევრსა ჰფიქრობენ ლამისყანელების კეთილ-დღეობაზე. მათ აზრად აქვთ სასოფლო მომხმარებელი მაღაზიის გახსნა, როგორიც მაგალითად, საგარეჯოშია; უხსნიან გლეხებს მის აუცილებლობას და ბევრი დაითანხმეს.

გიორგი ჯაბაური.

თეატრი და ხელოვნება

ავლაბრის სახალხო თეატრი (მურაშკოსეული). კვირას, 23 ივნისს, ავლაბრის ქართ. სახალხო წარმოდ. მმართველი წრის მიერ, ბ.ბ. კ. ყიფიანისა და დ. აწყურელის მონაწილეობით, დამსახურებულ სცენის მოყვარის გ. გელიკურაშვილის საბენეფისოდ წარმოადგინეს ა. ცაგარლის 4 მოქ. კომ. „ციმბირელი".

საზაფხულო სეზონში ეს მეექვსე წარმოდგენა იყო და, როგორც ეტყობა, სცენის მოყვარეთა წრე, გამგეობა და თვით საზოგადოებაც დიდის მოწიწებითა და მუყაითობით ეკიდება საზოგადო საქმეს. აუარებელი ხალხი, სასიამოვნო აღტაცება და ტაშისცემა ამტკიცებდნენ, რომ ეს პიესა უკვდავ პიესათა რიცხვშია მოსათავსებელი, რომ ავტორი ამ პიესისა კვლავ ცხოვრობს ხალხის გულში. სწორედ ამიტომაც იყო, რომ სცენის მოყვარენი, რასაკვირველია ზოგიერთების გარდა, თითქმის უნაკლულოდ ასრულებდნენ თავის როლებს.

თვით ბ. მობინეფისე, გარეგანი მოქმედებით და შესაფერისი სომხური კილოთი ნამდვილი მაზუთიანი იყო. ბ.ბ. ყიფიანისა (ციმბირელი) და აწყურელის (პეტუა) შესახებ რაღა ითქმის იმის მეტი, რომ მშვენიერები იყვნენ.

ქ-ნ აფხაზიშვილს არ შეეფერება ისეთი როლი, როგორიც ნარგიზაა, რადგანაც თავისი ინტონაციით, ფლეგმატიური მოქმედებით და გარეგნობით იგი მოხუცს უფრო ჰგავს. ბ. მაჩხანელი (სტეფან მაკარიჩი) ვერ იყო მოსაწონი. ბ. რეჟისორს, სტ. მაკარიჩის ცოლის, ვაროს, როლი სრულიად გამოეკლო პიესიდან, არ ვიცი კი რა მიზეზით. კარგები იყვნენ თავის როლებში ქ-ნი მარგველაშვილი (მოსამსახურე მაშო), ბ.ბ. თავდგირიძე (ნიკოლა) და სულთანოვი (ქლესოვი).

ხალხი წარმოდგენას ბევრი დაესწრო. აღსანიშნავია, რომ გამგეობა, შესაფერს წეს-რიგს იცავს და წარმოდგენების დაწყება-გათავებას ჯეროვან ყურადღებას აქცევს.

მიშო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

22 თიბათვე

უცხოეთი

ათინი. დეპუტატები აღტაცებით მიეგებნენ პარლამენტში ვენიზელოსის სიტყვას, რომელიც მეფის ხალხისადმი მიმართვას შეიცავდა. მეფე ამბობს, რომ ბულგარელების მოქმედება აიძულებს მეფეს, უბრძანოს ჯარს, იერიში მიიტანონ ბულგარელებზე.

ვენიზელოსმა სამხედრო მთავარ შტაბიდან მიიღო დეპეშა, რომლითაც ატყობინებენ: „სამი დღის განუწყვეტელ ომის შემდეგ წავართვით ბულგარელებს კილჩიკი და 60 სასროლი იარაღი. ვსდევნით მტერს". ვენიზელოსმა ეს დეპეშა პარლამენტში მიიღო და წაიკითხა. დეპუტატები ენტუზიაზმა შეიპყრო. გაისმა ხმები: „გაუმარჯოს მეფეს, გაუმარჯოს ჯარს".

ბელგრადი. მოიყვანის პირველი პარტია დატყვევებულ ბულგარელებისა. ტყვეთა რიცხვი: 1,445 ჯარის კაცი და 17 მხედარი.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო იტყობინება: სერბიელების თიმოკის ჯარს კრივოლავასთან გარს შემოერტყნენ ბულგარელები და სასტიკად დაამარცხეს. დატყვევებულ სერბიელთა რიცხვი დიდია.

სტამბოლი. ჩათალჯის ჯარი სამხედრო ვარჯიშობას ეწევა. ჯარი მოითხოვს, ოსმალეთმა ისარგებლოს შემთხვევით და განაგრძოს ომი, რათა დაიბრუნოს დანაკარგი. ამავე აზრს ავრცელებს გაზეთი „ტანინი".

ათინა. როდესაც ოპოზიციის წარმომადგენელმა ჰალისმა მოისურვა ვენიზელოსისათვის ეპასუხნა, პალატამ და დამსწრე ხალხმა ვენიზელოსს ოვაციები გუმართეს.

სოფია. საბერძნეთის ელჩი წავიდა ბულგარეთიდან, ბერძნების დაცვის საქმე მიანდო საფრანგეთის ელჩს.

ბელგრადი. დილით ბულგარელები თავს დაეცნენ სერბიელებს წმ. ნიკოლოზის მთაზე. შეტაკების შედეგი არ იციან.

სოფია. სამხედრო კრიზისმა განვლო. ბულგარელების გამარჯვებამ სერბიელებთან და ბერძნებთან შეტაკების დროს დაამტკიცეს ბულგარელების უმჯობესობა. საზოგადოება აღელვებულია რუმინიის მოქცევით.

პრაღა. გერმანელებმა და ჩეხმა საერობო მოხელეებმა გადასწყვიტეს არ დაანებონ თავი სამსახურს, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ დანიშნა კომისიები, რომელთაც ამიერიდან უნდა განაგონ ჩეხიის საავტონომიო საქმეები.

ათინა. სამხედრო სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ ტყვედ წამოუყვანიათ ბულგარელების მთელი რაზმი.

ბუქარესტი. მოწვეული არიან ჯარში სათადარიგო ჯარის კაცნი 1893 და 1894 წლების.

ათინა. ბერძნების ჯარმა, ბიკოვინის მახლობლად, გაიმარჯვა მტრებზე, რომელიც გაიქცა და დასტოვა მრავალი იარაღი და სურსათი ბრძოლის ველზე. კუკუშის მახლობლად ბერძნებმა აუტეხეს საშინელი სროლა ზარბაზნებისაგან ბულგარელებს. უკანასკნელნი რიცხვით 15.000-მდე გაიქცნენ.

ბელგრადი. „სამოუპრავა" ამბობს: ძალიან ვწუხვართ, რომ გარემოებამ ასე შორს შეგვატოპინა, მაგრამ სერბიას არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია სასტიკ ბედისათვის, თუმცა მთელი ბალკანეთის კეთილდღეობისათვის თავაზიანად იქცეოდა აქამდის: ეხლაც და წინადაც სერბიას სწამს, რომ ბალკანეთის კეთილდღეობა არის დამოკიდებული ბალკანელთა საერთო მშვიდობიანობაზე. გაზეთი ამბობს, რომ ბულგარიისა და სერბიის შორის თანხმობა, რომელიც უნდა იყვეს დამყარებული სამართლიანობის პრინციპზე, იქნება საუკეთესო თავმდები გარეშე მავნებელ გავლენის თავიდან აცილებისათვის. გაზეთი ჰკითხულობს,—შეუძლიან თუ არა ბულგარეთს ასეთი თანხმობა.

რომი. ბენგეზიდან იტყობინებიან: იტალიელთა ჯარს, რომელიც მაიორების ბილი და მილიაჩიოს ხელმძღვანელობით იყვნენ მოსული, თავს დაესხნენ არაბები და სროლა აუტეხეს. არაბები უკუაქციეს იტალიელებმა, მაგრამ დაჰკარგეს 100 ჯარისკაცი, 7 მხედარი, მათ შორის ბილი და მილიაჩიო.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო იუწყება: პრესბიუროს მოწადინება მომხდარ ამბების პასუხისმგებლის ბულგარეთისათვის თავზე მოხვევის სურვილი დაუსაბუთებელია, როგორც სერბიელების გამარჯვების შესახებ გადმოცემული ხმები. ბულგარეთის ჯარი მზად უნდა ჰყოფილიყო სერბიელებისა და ბერძნების თავდასხმის მოლოდინისთვის. ამას აიძულებდა ბულგარელებს სერბიელებისა და ბერძნების გამომწვევი მოქმედება, რომელიც მეგობრობის პირობადით უნდა დაეფარათ. ამასვე გვაიძულებდა ის, რომ სერბიელების და ბერძნების ჯარის სარდალნი შეკრიბნენ უსკიუბში ბულგარელებზე თავდასხმის გეგმის შესამუშავებლად. ამის შესახებ ბულგარეთის სამხედრო შტაბს აქვს დანამდვილებითი ცნობა.

ლვოვი. პოლონეთის მოძრაობის შემდეგ 50 წლის აღსანიშნავად შეიკრიბნენ პოლონეთის და გალიციის შევარდნები. შევარდნების რიცხვი რამდენიმე ათი ათასია.

პარიზი. მრავალი ხალხის თანადასწრებით მიწას მიაბარეს სამოქალაქო წესის აღსრულებით ანრი როშფორის გვამი.

სალონიკი. მაჰმადიანთა გაზეთმა დასტამბა მოწოდება, რომლითაც მოიწვევს მაჰმადიანებს დაეხმარონ დაშავებულ ბერძნებს, რადგანაც ელლინებს ბევრჯერ გამოუჩენიათ მამობრივი გულშემატკივრობა დატყვევებულ ოსმალთათვის.

ბუქარესტი. ჯარი თანდათან იგზავნება. დანარჩენი მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია. პროვინციებიდან იტყობინებიან: მცხოვრებლები აღტაცებით ეგებებიან ჯარში მიწვევის ბრძანებას. სამხედრო მინისტრად ნამყოფი ფილიპესკუ კაპიტნად მიდის, დეპუტატი დუკა და მინისტრად ნამყოფი მორტზენი—ჯარის კაცებად. პრესა [illegible] ჰყოფს ბულგარეთის მხრივ კომპენსაციას და მოითხოვს ომს.

სოფია. ბელგრადიდან და ცეტინიედან გამოწვეული არიან ელჩები. ბულგარელები მაკედონიაში იმარჯვებენ. სერბიელებს წაართვეს სამხედრო იარაღი.

სტამბოლი. მომხდარი ამბების გამო პორტამ ახალი ინსტრუქცია მისცა თავის წარმომადგენლებს პარიზში. ოსმალეთს ჰსურს ნეიტრალად დარჩეს, მაგრამ ძნელი აქნება შეაჩეროს ხალხისა და ჯარის მოძრაობა, თუ ოსმალეთის კანონიერი უფლებანი დარღვეულ იქმნა.

სოფია. რადგანაც საბერძნეთის ელჩმა დასტოვა ბულგარეთი, მთავრობამ გამოიწვია ათინიდან ელჩი ჰაჯი მიშევი.

სოფია. 22 ივნისს ბულგარელებმა დაამარცხეს 6 სერბიელთა რაზმი. სერბიელები გაიქცნენ და დასტოვეს 6 ზარბაზანი.

რომი. საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი დისკალეა დიდ ხანს ელაპარაკა ესად ფაშას.

რუსეთი

ხარბინი. ამურის საგანგებო სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე რუსეთ-იაპონიის ომის დროს საინტენდანტო უწყების მხედრობისა, ყველა ბრალდებულნი გაამართლეს.

ნოვოჩერკასკი. ნოვოჩერკასკის სტანიცების საგანგებოდ შეკრებილმა კრებებმა გადასწყვიტეს მიეცეს 50,000 მან. სეტყვისაგან დაზარალებულ ყახახებს.

ორგეევი. მდინარე დნესტრი არხიდან გადმოვარდა. ბევრი [illegible] წყალმა დაჰფარა. [illegible] ლუპა. პირუტყვი წყალმა წარეკა.

ატკარსკი. პოლიციამ მაზრაში შეიპყრა მცარცველთა ბრბო, რომელსაც ცარცვა და კაცის სიკვდილი ჰბრალდებათ 1908 წლიდან.

პეტერბურგი. 8 დღის გარჩევის შემდეგ სამხედრო-საზღვაო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი 52 მეზღვაურთა შესახებ, რომელთაც ბალტიის ზღვის მეზღვაურთა აჯანყებისათვის მოწოდება და მომზადება ჰბრალდებოდათ. 27 გადაუწყვიტეს საკატორღო მუშაობა 16 წლიდან 3½ წლამდე. 20 გამასწორებელ რაზმში 2 წლიდან 6 თვემდე. დანარჩენი გაამართლეს.

პოლტავა. გრაფ მუსინ-პუშკინის მამულის სამართველოდან გაიტაცეს ჯავშნიანი ფულის შესანახი, რომელშიაც ინახებოდა 285.300 მ. ფულის შესანახი მინდორში უნახავთ გაუტეხელი.

პეტერბურგი. დააკავეს „პრავდას" 141 ნომერი.

მოსკოვი. დააჯარიმეს სხუთას ხუთასი მანეთით „რუსკია ვედომოსტი" რომელმაც დასტამბა სტატია „პიროგოვის სახელობის კრება" და გაზეთი „უტრო როსია" ლექსისათვის „ჩემი პროექტი".

პეტერბურგი (ოფიციალური) გაზ. „ნოვოე ვრემიის" 13,388 ნომერში მოთავსებული იყო ცნობა, სოფლიდან, ვითომც რუსის საგარეო საქმეთა მინისტრს გაეგზავნოს ტელეგრამა საბერძნეთის მთავრობისათვის და ვითომც ჰკიცხავდა ბერძნების მოქმედებას ბულგარელების წინააღმდეგ სოლუნში. ამის გამო საგარეო სამინისტრო აცხადებს, რომ არცერთ ბალკანეთის სახელმწიფოსთვის არავითარი დეპეშა არ გაუგზავნია და რომ შეძლება არა აქვს დაიფასოს ცალკე სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა მომხდარ ამბების გამო და საიმპერიო მთავრობა მთელ რუსეთთან ერთად ჰკიცხავს ეხლახან ძმათა შორის ატეხილ ომს და იმ პოლიტიკას, რომელმაც მათ შორის შეტაკება გამოიწვია.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, ჩქარი პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, სამგზ.-საბარგო ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, საფოსტო სადამ. 10 ს. 16 წ., № 8, სამგზავ. სად. 6 ს. 29 წ., № 106, ნარევი მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, საფ. დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, საჩქარო პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, ს.მგზ. ღამის 10 ს. 31 წ., № 105, ნარევ. მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17. სახ. დილ. 8 ს. 50 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, სამგზავრ. ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

კახეთისაკენ: № 65, [illegible] დილ. 8 ს. 46 წ., № 67, სამგზ. ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 სად. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: სახ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, საბარგ.-სამგზ. სად. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 11, საბარ.-სამგზ. დილ. 11 ს. 28 წ., № 7, სამგ. მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, აჩქარ. პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, ნარევ., მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, სამგზ. დილ. 8 ს. 40 წ. № 12, ს.მგ. შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, სამგზ. სად. 5 ს. 54 წ., № 4, საფ. სად. 9 ს. 16 წ., № 06, ნარევ. ღამ. 2 ს. 12 წ.

გთხოვთ წაიკითხოთ!!
ახალი ამბავი!!
ოთახის „საგორაველებელი მაგიდა"
„სანიტარი"
ყველა ქვეყანაში აღებულია
პატენტი.
ყოველ ოჯახში ფრიად საპრაქტიკო და აუცილებელია.
ვარშავა მ. კლეცინსკი
სურაკოვის ქუჩა № 15.
პირველ მოთხოვნილებისათანავე პრეისკურანტი უფასოდ გაეგზავნებათ.
M. 31943 1231.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბაგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

ქალაქის საავადმყოფოები
მთავარი—მუხრანის ქუჩა, 5.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.
ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

მასწავლებელი
ს. ა. გრიაზნოვი
ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომელო სასწავლებლ., საოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს სრულ პანსიონზე.
ვერა, იზმაილოვის მიხვეული, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

სასანიტარო ექიმები
უბნები: 1, 2—9 **ბ. ფომინა-თხიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქათანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი. 10. ტელ. 645).
10, 11—12 **გ. ა. მირზოევი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).
სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყოვნებლივ ზეპირად დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გადასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მაღაკნის მოედანზე.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ კვირ. ავად. არ იღებს, მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილი ა

ვასწავლი
ქართულ „სიმღერა-გალობას" და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისთვის. მუდმივ გუნდის მიწვევა ეკლესიებში, კონცერტებზედ, პირობის გაგება, მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა **მიხეილ კავსაძესთან** კვირაობით, ოთხშაბ. და შაბათობ. საღ. 5—7 ს.-მდე ავჭალის ქუჩა № 29. ვიღებ და ვასწავლი **მუშა-ხალხსაც.** ვიწვევ მგალობლებს **ანჩისხატის საკრებულო ტაძარში,** სადაც კვირა-უქმეებში მუდმივ გალობს გუნდი. 349.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
დრამატიული თხზულებანი:

ადამიანის ცხოვრება. თარგმანი.	ფასი 50 კ.
ბედმა მიღალატა. კომ. 3 მოქმ.	,, 20 ,,
ბრძოლა არსებობისათვის დრამ. პოემა.	,, 60 .
გაყრა, გ. ერისთავისა	,, 5 ,
[illegible]. დრ. 3 მოქმ. გედევ.	,, 25 ,,
გალატაკებული ოჯახი, დრ. 3 მოქ	,, 10 ,
დარბეული. დრ 4 მოქმ	,, 30 ,,
დრამ. თხზულებანი დ. ერისთავ	,, 1 მ.
დალი. დრ. 3 მოქმ.	,, 20
დრამები და კომ. „სორაპ." გამოც.	,, 1 მ.
ვაი ჭკუისაგან, გრიბოედ.	,, 35 ,,
ილია[illegible] დღე ჭიათურაში	,, 20 ,,
კენჭის ყრა. სცენ. 4 მოქმ	,, 50 ,,
მამა-შვილნი, ანუ გაუბ. 3 მოქმ.	,, 5 ,,
მტარვალის ბედი. დრ.	,, 0 ,,
მეგობრობა დრ. 4 მ ქ.	,, 30 ,,
მეზობლები, დრ. 4 მოქმ.	,, 4 ,,
მოლიერი, ორ თხუზ	,, 50 ,,
მართ. დრამ. ნაწყვ	,, 3 ,,
მიჯაჭვული პრომეთე, ედიპე მეფე, მედეა.	,, 50 ,,
მაკბეტი, ნათ. ი. მაჩაბ.	,, 40 ,,
ნაძირალნი. გორკისა.	,, 25 ,,
ნატვრის თვალი.	,, 40 ,,
ორი პიესა, ტრ. რა იშ ილ შეშლილნი და კრიტიკოსთან.	,, 25 ,,
ორი პიესა, ცხოვრება ბრძოლაა, დრონი მეფობენ.	,, 50 ,,
ორი ჯიბგირი. ნათ. აბაშ.	,, 40 ,
პანთეონი ქართ. თეატრისა: 1) იჭვიანა, 2) ნელ. ოთახში, 3) ახირებულია.	,, 30 ,

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა", დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„მამცემი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

სამკურნალო გოგირდის აბანო „ფანტაზია",
ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლინიაზე ახლად შეკეთებული მოწყობილობა ყოველ მხრივ და წესიერად.
კომფორტი, ელექტრონული განათება გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29% და 35%, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ხუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.
1674 **კნ. სუმბათოვებისა.**

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა (ქიტკა)
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჩიპა, ზურგილები, სხვა ყოველ-ნაირი თევზეულობა და კონსერვები.
20674

СИРОЛИНЪ РОШЪ
SIROLIN

სიროლინი „როშ"-ი
ბავშვებისა და მოზრდილთათვის ნაცადი, დამამშვიდებელი, გამხსნელი საშუალება ახალ თუ დაძველებულ ყაბზობისა, ყივანახველისა, ინფლუენციისა, ხველებისა, ფილტვების ანთების შემდეგ.
უზრუნველმყოფელია ჭლექის წინააღმდეგ,
მადას აუმჯობესებს, ნარკოტიულ ნივთიერებათაგან განწმენდილია, გემო სასიამოვნო აქვს.
იყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში.
მოითხოვეთ უსათუოდ სიროლინ „როშ"-ი ქარხნის ორიგინალ. გასახვევით
1136

ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".